

მოხმარების ინსტრუქცია
DANASIN-ის
100 მილიგრამიანი კაფსულები

მიიღება ორალური გზით.

- **ეფექტური ნივთიერება**: თითოეული კაფსულა შეიცავს 100 მილიგრამ დანაზოლს.
- **დამხმარე ნივთიერებები**: მიკროკრისტალინის ცელულოზა ნატრიუმ ლაურილის სულფატი, კროსკამელიოს ნატრიუმი, ტალკი, მაგნიუმ სტეარატი, ტიტანის დიოქსიდი, Sunset yellow (FD&C Yellow N 6), ყვითელი კინოლინი (D&C Yellow N 10).

ამ პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ მოხმარების ინსტრუქცია, ვინაიდან ის შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას.

- შეინახეთ წინამდებარე მოხმარების ინსტრუქცია. შემდგომში შეიძლება დაგჭირდეთ მისი ხელახლა წაკითხვა.
- დამატებითი კითხვების წარმოქმნის შემთხვევაში, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.
- ვინაიდან წინამდებარე პრეპარატი პირადად თქვენთვის არის გამოწერილი, სხვა პირებისთვის მისი მიცემა დაუშვებელია.
- წინამდებარე პრეპარატის მოხმარებისას ექიმთან ან ფარმაცევტთან მიმართვის დროს, აუცილებლად აცნობეთ თქვენს ექიმს ამ პრეპარატის მიღების შესახებ.
- დაიცავით წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში აღნიშნული წესები. ექიმის მიერ დანიშნული დოზის გადაჭარბება დაუშვებელია.

<u>წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში მოცემულია ქვემოთ აღნიშნული სათაურები</u>:

1. რას წარმოადგენს DANASIN და რისთვის გამოიყენება?
2. რას უნდა მიაქციოთ ყურადღება DANASIN -ის მოხმარების დაწყებამდე?
3. როგორ უნდა მოიხმაროთ DANASIN?
4. რა სახის გვერდითი ჩვენებები შეიძლება წარმოიქმნას?
5. DANASIN -ის შენახვის წესები.

1. რას წარმოადგენს DANASIN და რისთვის გამოიყენება?

DANASIN ეფექტური ნივთიერების სახით შეიცავს დანაზოლს. DANASIN უზრუნველყოფს თქვენს სხეულში არსებული ზოგიერთი ჰორმონების მოქმედების შეცვლას.
DANASIN წარმოდგენილია 100 კაფსულის შემცველი ფერადი ფლაკონების სახით.

DANASIN გამოიყენება ქვემოთ აღნიშნული დაავადებების მკურნალობის დროს:

- ენდემეტრიოზი: საშვილოსნოში არსებული ენდემეტრიუმის უჯრედების ფენის საშვილოსნოს გარეთ განლაგება.
- ფიბროკისტური დაავადება: არა ავთვისებიანი და მტკივნეული მკერდის კისტები.
- არაორგანული მენორაგია: მენსტრუალური ციკლის გაგრძელება.
- პრემენსტრუალური სინდრომი: მენსტრუაციამდე დაახლოებით 1 კვირით ადრე ფსიქოლოგიური ან ფიზიკური პრობლემების და დაძაბულობის დაწყება.

- ჰისტეროსკოპულ-ენდომეტრიალურ აბლაციამდე ენდომეტრიუმის გათხელება: ენდოსკოპად წოდებული ქირურგიული გაშუქების გზით საშვილოსნოს შიგნით არსებული ენდომეტრიუმის ფენის ამოღებამდე ფენის გათხელება.
- პირველადი გინეკომასტია: მამაკაცებში ქალის მკერდის გაზრდა.
- Puberte prekoks ნაადრევად მომწიფება.
- გენეტიკური ანგიო შეშუპება: ზოგადად წარმოადგენს უმტკივნეულო, მორეციდივე და დროებითი შეშუპებების მქონე იშვიათ გენეტიკურ დაავადებას.

2. DANASIN-ის მოხმარებამდე დასაცავი წესები:

ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევებში DANASIN-ის მოხმარება დაუშვებელია:

- ეფექტური ნივთიერების - DANASIN-ის დანაზოლის ან სხვა დამხმარე ნივთიერებების მიმართ ჭარბი მგრძნობელობის არსებობის შემთხვევაში.
- ფეხმძიმობის, ფეხმძიმობის დაგეგმვის ან ფეხმძიმობის შეგრძნების შემთხვევაში.
- ბავშვის ძუძუთი კვების შემთხვევაში.
- თირკმელის, ღვიძლის ან გულის სერიოზული დაავადებების არსებობის შემთხვევაში.
- სისხლის წითელი უჯრედების ფერის სინთეზის დროს გარკვეული ფერმენტების ნაკლებობის შემთხვევაში (პორფირია).
- აქტიური თრომბოზის ჩივილების (სისხლძარღვის თრომბის მიერ (სისძარღვში წარმოქმნილი შედედება) სისძალრღვის გადაკეტვის) ან თრომბო ემბოლიური დაავადების არსებობის შემთხვევაში.
- ანდროგენზე დამოკიდებული სიმსივნეები.
- დანაზოლის ან მის შემადგენლობაში არსებული ერთ-ერთი ნივთიერების მიმართ მგრძნობელობა.
- დაუზუსტებელი საკვერცხეების / საშვილოსნოს მასები.
- ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატებით წარმოქმნილი სიყვითლის არსებობის შემთხვევაში.
- საკვერცხის ანთება.
- პირველადი ან მეორადი სასქესო ორგანოების სიმსივნეები.
- მაღალი წნევა.

თუ თქვენ წარსულში გქონდათ ნებისმიერი ზემოაღნიშნული სიმპტომი, DANASIN-ის მიღება არ არის რეკომენდირებული. რაიმე ეჭვის წარმოქმნის შემთხვევაში, DANASIN-ის მიღებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

ქვემოაღნიშნულ შემთხვევებში DANASIN-ის მიღების დროს უნდა გამოიჩინოთ ყურადღება:

- ღვიძლის ან თირკმელების პრობლემის არსებობის შემთხვევაში.
- სითხის დაგროვების გამო რაიმე დაავადების გაუარესების შემთხვევაში.
- მაღალი წნევის ან გულის დაავადების არსებობის შემთხვევაში.
- დიაბეტის არსებობის შემთხვევაში.
- პოლიციტემიად (სისხლში წითელი უჯრედების რაოდენობის გაზრდა) წოდებული დაავადების არსებობის შემთხვევაში.

- კრუნჩხვების არსებობის შემთხვევაში (ეპილეფსია).
- ლიპიდების დარღვევად წოდებული სისხლის ცხიმებთან დაკავშირებით პრობლემების არსებობის შემთხვევაში.
- DANASIN-ის მსგავს ჰორმონალურ თერაპიაზე უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში.
- შაკიკის არსებობის შემთხვევაში.
- კიბოს ან მკერდის კიბოს ალბათობის არსებობის შემთხვევაში.
თუ თქვენ წარსულში გქონდათ ნებისმიერი ზემოაღნიშნული სიმპტომი, რაიმე ეჭვის წარმოქმნის შემთხვევაში, DANASIN-ის მიღებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ თქვენ წარსულში გქონდათ ნებისმიერი ზემოაღნიშნული სიმპტომი, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.

DANASIN-ის მიღების დროს მისაღები საკვებ-სასმელი:
DANASIN-ის მიღების დროს ალკოჰოლის მოხმარება არ არის რეკომენდირებული. DANASIN-ის მოხმარების დროს ალკოჰოლის მიღების შემთხვევაში თავი შეიძლება ცუდად იგრძნოთ და წარმოიქმნას სუნთქვის უკმარისობა.

ფეხმძიმობა:
პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს, ან ფარმაცევტს.
ფეხმძიმობის, ფეხმძიმობის დაგეგმვის ან ფეხმძიმობის შეგრძნების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოთ DANASIN-ის მიღება და რჩევისთვის მიმართოთ თქვენს მკურნალ ექიმს.
იმ შემთხვევაში, თუ მკურნალობის პერიოდში მიხვდებით, რომ ფეხმძიმედ ხართ, რჩევისთვის დაუყოვნებლივ მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

ძუძუთი კვება:
პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.
ვინაიდან DANASIN-ის შემცველი აქტიური ნივთიერება შეიძლება მცირე ოდენობითაც კი შეაღწიოს დედის რძეში, მეძუძური დედებისათვის გასათვალისწინებელია აღნიშნული ფაქტი.
ბავშვის ძუძუთი კვების შემთხვევაში, DANASIN-ის მოხმარება არ არის რეკომენდირებული.
დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოთ DANASIN-ის მიღება და მიმართოთ თქვენს მკურნალ ექიმს.
კვების ან ძუძუთი კვების დაგეგმვის შემთხვევაში ამ პრეპარატის მიღებამდე, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.

მანქანის ტარება და ხელსაწყოს მოხმარება:
მანქანის ტარების და ხელსაწყოს მოხმარების დროს DANASIN-ის უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით რაიმე კვლევები არ იქნა ჩატარებული.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია DANASIN-ის შემადგენლობაში არსებული ზოგიერთი ნივთიერებების შესახებ:
აღნიშნული პროდუქტის ყოველი აბი შეიცავს 1 mmol (23 მილიგრამზე) ნაკლებ ნატრიუმს, ანუ საერთოდ „არ შეიცავს ნატრიუმს“.

სხვა წამლებთან ერთად მოხმარება:
ქვემოთ აღნიშნულ ან სხვა პრეპარატებთან ერთად ამ პრეპარატის მიღების შემთხვევაში, რჩევისათვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს. ზემოაღნიშნული პრეპარატები შეიცავს რეცეპტის გარეშე გაყიდვაში მყოფ მცენარეულ პრეპარატებს. DANASIN-ს შეუძლია შეცვალოს თქვენს მიერ მიღებული სხვა პრეპარატების მოქმედება. გარდა ამისა, თქვენს მიერ მიღებულ პრეპარატებსაც შეუძლიათ DANASIN-ის ეფექტის შეცვლა.

ქვემოთ აღნიშნული ნებისმიერი პრეპარატის მოხმარების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს:
- ტესტოსტერონის, ოსტროგენის, პროგესტერონის (ჩასახვის საწინააღმდეგო აბებად ან HRT-ად წოდებული ჰორმონების ჩანაცვლების ტერაპია) მაგვარი სრტეროიდები.
- სიმვასტატინის, ატროვასტატინის, ან ლოვასტატინის მაგვარი სტატინები (ქოლესტერინის დასაწევად გამოსაყენებელი პრეპარატები). DANASIN-ს შეუძლია გაზარდოს კუნთების სისუსტის ან კუნთების სწრაფად დაშლის რისკი.
DANASIN-ს შეუძლია გაზარდოს ქვემოთ აღნიშნული პრეპარატების ეფექტი:
- ეპილეფსიის, კრუნჩხვების ან კონვულსიების სამკურნალოდ გამოსაყენებელი პრეპარატები (ანტი კონვულსანტები).
- სისხლის გასათხელებლად გამოსაყენებელი პრეპარატები (ვარფარინის მაგვარი ანტი კოაგულანტები).
- ანესთეზიური საშუალებები (იხილეთ ქვემოტ მოცემული თავი „ოპერაციები ან ტესტები“).
- ციკლოსპორინი და ტაკროლიმუსი - გამოიყენება ორგანოების გადანერგვის შემდეგ მათი მიუღებლობის შესაჩერებლად. DANASIN-ს შეუძლია გაზარდოს სისხლში არსებული ზემოაღნიშნული პრეპარატების დონე და ზიანი მიაყენოს თირკმელებს.
- D ვიტამინის ნაკლებობის და სისხლში კალციუმის არასაკმარისი რაოდენობის არსებობის შემთხვევაში გამოსაყენებელი ალფა კალციდონი (D ვიტამინის ფორმა).
DANASIN-ს შეუძლია შეამციროს ქვემოთ აღნიშნული პრეპარატების ეფექტი:
- დიაბეტისთვის გამოსაყენებელი პრეპარატები.
- მაღალი წნევისთვის გამოსაყენებელი პრეპარატები (ჰიპერტონიის საწინააღმდეგო პრეპარატები).
- შაკიკისთვის გამოსაყენებელი წამლები.

ოპერაციები ან ტესტები:

რაიმე ოპერაციის გადატანის შემთხვევაში, აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს DANASIN-ის მიღების შესახებ, რადგან DANASIN-ს შეუძლია შეამციროს ზოგიერთი ანესთეზიური პრეპარატების ეფექტი.
ექვს თვეში მეტი ვადის განმავლობაში DANASIN-ის მოხმარების შემთხვევაში, თირკმელების შესამოწმებლად თქვენმა მკურნალმა ექიმმა შეიძლება მოითხოვოს ულტრასტონოგრაფიული გამოკვლევის ჩატარება.

ამჟამად რეცეპტით გამოწერილი ან არ გამოწერილი ნებისმიერი პრეპარატის მოხმარების ან ბოლო პერიოდის განმავლობაში მოხმარების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

3. DANASIN-ის მოხმარების წესი:

DANASIN-ი ყოველთვის უნდა მიიღოთ ექიმის მიერ გამოწერილი ფორმით. რაიმე ეჭვის წარმოქმნის შემთხვევაში რჩევისათვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

ინსტრუქციები სათანადო მოხმარების და დოზის / მოხმარების სიხშირის შესახებ:
თქვენი მკურნალი ექიმი თქვენი დაავადების სიმძიმის მიხედვით დაგიდგენთ პრეპარატის დოზას.
DANASIN-ის სტანდარტული დოზა დამოკიდებულია პაციენტის მდგომარეობაზე და დაავადების სიმძიმეზე.
- ენდომეტრიოზი: 3-6 თვის განმავლობაში ყოველდღიურად 200-800 მილიგრამი.
- ფიბროკისტური დაავადება: 4-6 თვის განმავლობაში ყოველდღიურად 100-400 მილიგრამი.
- არაორგანული მიზეზებით გამოწვეული მენორეგია და პრემენსტრუალური სინდრომი: 3 თვის განმავლობაში ყოველდღიურად 200 მილიგრამი.
- გენეტიკური ანგიოშეშუპება: 1-3 თვის განმავლობაში ყოველდღიურად 400-600 მილიგრამი.
- ენდომეტრიუმის პრეოპერაციულად გათხელება: 3-6 კვირის განმავლობაში ყოველდღიურად 400-800 მილიგრამი.
- Puberte Prekoks: ყოველდღიური დოზა პაციენტის ასაკის და კლინიკური შედეგის მიხედვით - 100-400 მილიგრამი.

მოხმარების ხერხი და მეთოდი
რეკომენდირებულია DANASIN-ის კაფსულის 1 ჭიქა წყალთან ერთად მიღება. DANASIN-ის მიღების დაწყებამდე დარწმუნდით, რომ არ ხართ ფეხმძიმედ. კაფსულების მიღება უნდა დაიწყოთ მკურნალობის პირველივე დღიდან. გამოიყენეთ ჩასახვის საწინააღმდეგო, უსაფრთხო მეთოდი (კონტრაცეფტიულ ქაფის ან ჟელესთან ერთად საშვილოსნოში ხელსაწყოს ბარიერის მეთოდის მაგვარი).
DANASIN-ის მიღების დასრულებამდე საჭიროა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება.

თუ თქვენ ადრე შეგიმჩნევიათ DANASIN-ის ძალიან ძლიერი ან ძალიან სუსტი მოქმედება ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები:
ბავშვების მიერ მოხმარება:
ბავშვებისათვის DANASIN-ის მიღება არ არის რეკომენდირებული.

ხანდაზმული პირების მიერ მოხმარება:
ხანდაზმული პირებისათვის DANASIN-ის მიღება არ არის რეკომენდირებული.

მოხმარების განსაკუთრებული შემთხვევები:
თირკმელების / ღვიძლის უკმარისობა:
თირკმელების და ღვიძლის უკმარისობის მქონე პაციენტებისათვის DANASIN-ის მიღება არ არის რეკომენდირებული. თირკმელების და ღვიძლის სუსტი და საშუალო ხარისხის უკმარისობის მქონე პაციენტებისათვის რეკომენდირებულია ჩვეულებრივი დოზის მიღება. რეკომენდირებულია თირკმელებისა და ღვიძლის ფუნქციების მონიტორინგის ჩატარება.

თუ თქვენ ადრე შეგიმჩნევიათ DANASIN-ის ძალიან ძლიერი ან ძალიან სუსტი მოქმედება ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ თქვენ ღებულობთ DANASIN-ს საჭიროზე დიდი დოზით:
თუ თქვენ ღებულობთ DANASIN-ს საჭიროზე დიდი დოზით, პრეპარატთან ერთად რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.
თუ თქვენ ღებულობთ DANASIN-ს საჭიროზე დიდი დოზით, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ თქვენ დაგავიწყდათ DANASIN-ის მიღება:
თუ თქვენ დაგავიწყდათ DANASIN-ის მიღება, მიიღეთ ყოველ გახსენებაზე. შემდეგი დოზის მიღების დროს გამოტოვეთ დავიწყებული დოზა და გააგრძელეთ პრეპარატის ჩვეულებრივად მიღება.
დავიწყებული დოზის ასანაზღაურებლა ორმაგი დოზის მიღება არ არის რეკომენდირებული.

DANASIN-ის მიღების დასრულების შემდეგ წარმოქმნილი ჩვენებები:
ექიმთან კონსულტაციის გარეშე DANASIN-ის მიღების შეწყვეტა არ არის რეკომენდირებული, ვინაიდან ამან შეიძლება გამოიწვიოს თქვენი დაავადების სიმპტომების გამწვავება.

სისხლის ტესტები:
თქვენი ღვიძლის მუშაობის და სისხლის შემადგენლობის შესამოწმებლად თქვენი მკურნალი ექიმი მუდმივად ჩაგიტარებთ სისხლის ტესტირებას. გარდა ამისა, DANASIN-ის მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლის ზოგიერთი ტესტების შედეგების შეცვლა. ასეთი ტესტებია:

- ჰორმონის ტესტოსტერონის დონეები.
- ღვიძლის და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია.
- სისხლში ლიპიდების (ცხიმების), შაქრის და პროტეინის დონეები.
სისხლის ტესტირების ჩატარების შემთხვევაში, თქვენს მკურნალ ექიმს აუცილებლად აცნობეთ DANASIN-ის მიღების შესახებ.

4. როგორია შესაძლებელი გვერდითი ჩვენებები?
ისევე, როგორც ყველა წამალი, DANASIN-ის მიმღებ ზოგიერთ პაციენტებს შეიძლება წარმოექმნათ გვერდითი ჩვენებები.

ქვემოთ აღნიშნული ნებისმიერი სიმპტომის წარმოქმნის შემთხვევაში, შეწყვიტეთ DANASIN-ის მიღება და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან მიმართეთ უახლოესი საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების განყოფილებას:
- სერიოზული ალერგიული რეაქციები: გამონაყარი, ყლაპვის გართულება, ან სუნთქვის უკმარისობა, სახის, ტუჩების, ყელის, ან ენის დასიება.
- გულ-მკერდის, ნიკაპის, ან ხელების ტკივილი, ან დაჭიმულობა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გულის კრიზისით.

ყველა ზემოაღნიშნული წარმოადგენს სერიოზულ გვერდით ჩვენებებს.
ნებისმიერი ზემოაღნიშნული სიმპტომის წარმოქმნის შემთხვევაში, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს DANASIN-ის მიმართ ალერგიით. შეიძლება საჭირო გახდეს სამედიცინო ჩარევა ან საავადმყოფოში დაწოლა.

გვერდითი ჩვენებები დაყოფილია შემდეგ ჯგუფებად:

საკმაოდ გავრცელებული:	შეიძლება წარმოექმნას 10 პაციენტიდან სულ მცირე ერთს.
გავრცელებული:	შეიძლება წარმოექმნას 10 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს, მაგრამ 100 პაციენტიდან ერთზე მეტს.
არ გავრცელებული:	შეიძლება წარმოექმნას 100 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს, მაგრამ 1.000 პაციენტიდან ერთზე მეტს.
იშვიათი:	შეიძლება წარმოექმნას 1.000 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს.
ძალიან იშვიათი:	შეიძლება წარმოექმნას 10.000 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს
სიხშირის მიხედვით უცნობი:	ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, შეიძლება წარმოექმნას ნაკლებ პაციენტს.

ძალიან გავრცელებული:
-აკნე.

გავრცელებული:

- წონაში კლება, მადის მომატება, კანის აქერცვლა, მომატებული თმიანობა, თმის ცვენა, ხმის ჩახლეჩვის მაგვარად ხმის შეცვლა, ყელის ტკივილი, ხმის ტემბრის შეცვლა, ჩამოუყალიბებლობა.
- მენსტრუალური ციკლის დარღვევა.
- ვაგინალური სიმშრალე, ირიტაცია და სიწითლე.
- სქესობრივი ორიენტაციის შეცვლა.
- ხასიათის ცვალებადობა.
- შფოთვა, დეპრესია და გაღიზიანება.
- თავბრუსხვევის შეგრძნება.
- თავის ტკივილი.
- კრეატინ ფოსფოკინაზის დონის ზრდა და ძლიერი ზურგის ტკივილი, კუნთების კრუნჩხვა, კუნთების კანკალი, კუნთების მოდუნება, და ტკივილი, სახსრების ტკივილი და სახსრების დასიება.
- გულის რევის შეგრძნება.
- გამონაყარი, სიცხე, ჭინჭრის ციება.
- სახის დასიება.
- მზის სხივების მიმართ ქავილის რეაქცია.

არ გარვცელებული:
- მკერდის ზომის შემცირება.
- ღვიძლის უკმარისობა.
- ვაქცინის ტრანსამინაზის დონის იზოლირებულად ზრდა.
- ღვიძლის დაზიანება.
- სიყვითლე.

იშვიათი:
- სისხლის წითელი უჯრედების და თრომბოციტების რაოდენობის ზრდა.
- სისხლის თეთრი უჯრედების რაოდენობის შემცირება (ოპოპენია).
- თრომბოციტების - სისხლის თეთრი უჯრედების შემცირება (თრომბოციტოპენია).
- კლიტორის ზრდა და სითხის დაგროვება.
- უკუქცევადი პოლიციტენია (სისხლის წითელი უჯრედების რაოდენობის ზრდა).
- სისუსტე, თავბრუსხვევის შეგრძნება ან წონასწორობის დაკარგვა (ვერტიგო).
- ბუნდოვანი ხედვა, მხედველობის პრობლემები, კონტაქტური ლინზების ჩასმის დროს პრობლემების წარმოქმნა.
- პანკრიასის ანთება.
- მაღალი წნევა.
- პალპიტაცია.
- გულის ცემის რითმის ზრდა.
- საგიტალური სინუსის თრომბოზი (ტვინის სისხლუჯრედების შედედების შედეგად წარმოქმნილი დაზიანება).

- მუცლის ან გულის სისხლძარღვების შედედება.
- გულის კრიზი.
- სანაღვლე სადინარებიდან გამოყოფის დარღვევასთან დაკავშირებული სიყვითლე.
- ღვიძლის კეთილთვისებიანი სიმსივნე.

ძალიან იშვიათი:
- ეოზინოფილების (სისხლში ეოზინოფილების (გარკვეული სახეობის ალერგიული უჯრედების) რაოდენობის ზრდა).
- ელენთის პურპურა (ელენთის სისხლძარღვებიდან წითელი უჯრედების გამოყოფით გამოწვეული დაზიანება).
- სპერმის რაოდენობის საშუალო შემცირება.
- ეპილეფსიის დროს მდგომარეობის გაუარესება.
- შაკიკი.
- ხელის მაჯების ნერვების დაჭიმულობა (კარპალური გვირაბის სინდრომი).
- ფილტვების ანთება.
- კუჭის და გულ-მკერდის ტკივილი.
- ღვიძლის ავთვისებიანი სიმსივნე.
- ღვიძლის წილებში სისხლის დაგროვება (პრეპარატის ხანგრძლივად მიღების დროს).
- კანზე გამონაყარი ან სიწითლე, კანის ფერის შეცვლა, ან მზის მიმართ მგრძნობელობა, კანის აქერცვლა და ანთებით გამოწვეული სიწითლე.
- სისხლით შარდვა.

სიხშირის მიხედვით უცნობი:
- ინსულინის მიმართ გამძლეობის ზრდა.
- პლაზმის გლუკაგონის ზრდა, გლუკოზის აუტანლობა.
- ყველა ქვედა ფრაქციებზე გავლენის მომხდენი LDL ქოლესტერინის ზრდა, HDL ქოლესტერინის შემცირება Al და Al აპოლიპო პროტეინის შემცირება.
- ამინოლევულინის მჟავის (ALA) სინტეტაზის ინდუქციის და თიროიდულ-სიმულანტური ჰორმონის ან თავისუფალი ლევოფიროქსინის ინდექსის დარღვევის გარეშე, T3 მაჩვენებლის ზრდა და ფარისებრი ჯირკვლის გლობულში T4-ის შემცირება.
- დაღლილობა.

წინამდებარე ინსტრუქციაში გაუთვალისწინებელი ნებისმიერი გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

<u>გვერდითი ჩვენებების მოხსენება</u>
წინამდებარე ინსტრუქციაში გაუთვალისწინებელი ნებისმიერი გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს. გარდა ამისა, წარმოქმნილ გვერდით ჩვენებებთან დაკავშირებით შეგიძლიათ დააკლიკოთ www.titck.gov.tr ვებ გვერდზე არსებულ „წამლების გვერდითი ჩვენებების შესახებ შეტყობინების“ ლინკს ან დარეკოთ 0 800 314

00 08 ნომერზე თურქეთის ფარმაკოლოგიური ზედამხედველობის ცენტრში (TÜFAM) და აცნობოთ გვერდითი ჩვენებების შესახებ. წარმოქმნილი გვერდითი ჩვენებების შესახებ შეტყობინების დატოვების შემდეგ, თქვენ მოგეწოდებათ უფრო მეტი ინფორმაცია თქვენს მიერ მოხმარებული პრეპარატის უსაფრთხოების შესახებ.

5. DANASIN-ის შენახვა:
შეინახეთ DANASIN-ი ბავშვებისათვის ხელმიუწვდომელ ადგილზე თავის შეფუთვაში.
შეინახეთ პრეპარატი 25^{0}C-ზე ნაკლები ტემპერატურის პირობებში ორიგინალ შეფუთვაში.

პრეპარატი მოხმარებული უნდა იქნეს მისი ვარგისიანობის ვადის შესაბამისად.
შეფუთვაზე აღნიშნული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ DANASIN-ის მოხმარება არ არის რეკომენდირებული.

ვადაგადაცილებული ან მოუხმარებელი პრეპარატების ნაგავში ჩაყრა არ არის რეკომენდირებული.
გადაეცით პრეპარატები გარემოს დაცვის და ურბანიზაციის სამინისტროს. რჩევისთვის მიმართეთ ფარმაცევტს.

ლიცენზიის მფლობელი: სს „ქოჩაქ ფარმა ილაჩ ვე ქიმია სანაი“
ბაღლარ ბაში, გაზის გამზირი, N64-66, უსკუდარი / სტამბოლი

წარმოების ადგილი: სს „ქოჩაქ ფარმა ილაჩ ვე ქიმია სანაი“
ორგანიზებული სამრეწველო დასახლება, ჩერქეზქიოი / თექირდაღი
წინამდებარე მოხმარების ინსტრუქცია დამტკიცებულია 28.11.2014 წელს.